# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 610

„25" ნოემბერი 2022 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, ზემო ფონიჭალაში, სამხედრო ქალაქ №1-ში (საკადასტრო კოდი: №81.03.17.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის 118[1] მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას „ქალაქ თბილისში, ზემო ფონიჭალაში, სამხედრო ქალაქ №1-ში (საკადასტრო კოდი: №81.03.17.002) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 9 ნოემბრის №22.1719.1849 განკარგულების დანართი №1-ით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ზემო ფონიჭალაში, სამხედრო ქალაქ №1-ში (საკადასტრო კოდი: №81.03.17.002) მდებარე უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ამავე დანართით გათვალისწინებულ პირთათვის, გასაფორმებელი, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი №2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

*დანართი N1*

| ქალაქ თბილისი, ზემო ფონიჭალა, სამხედრო ქალაქი N1 (საკადასტრო კოდები: N81.03.17.002) | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| N | სახელი გვარი | პირადი ნომერი | სართული, ბინის ნომერი | ფართი (კვ.მ) | საკადასტრო კოდი |
| 1 | გელა ახალაძე | 01016010876 | სართული 1 | 54.14 | 81.03.17.002.01.503 |
| 2 | დავითი ლევანიშვილი | 22001018451 | სართული 1 | 28.8 | 81.03.17.002.01.500 |
| 3 | ვალერიანი მჭედლიშვილი | 40001002413 | სართული 1 | 53.96 | 81.03.17.002.01.502 |
| 4 | მანანა მაისურაძე | 12001056882 | სართული 2 | 47.07 | 81.03.17.002.01.506 |
| 5 | გიორგი იარალიშვილი | 01016009924 | სართული 2 | 55.03 | 81.03.17.002.01.504 |
| 6 | თამაზ შოშიტაშვილი | 40001022210 | სართული 2 | 71.44 | 81.03.17.002.01.505 |